დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი- ბათუმი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამთა კვინიკაძე

წევრები:

დემით ფასეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 445740075

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☒ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 21/03/2025 MES 9 25 0000317123 ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა Front- end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განახორციელა ვიზიტი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი- ბათუმში 2025 წლის 1 აპრილს.დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	Xშეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front - end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front - end დეველოპმენტი
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	No00002188; 13.02.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სასწავლო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი- ბათუმის მისიით ხედვითა და სტრატეგიული განთვითარების გეგმით გათვალისწინებულია საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით N 6 სრატეგიული მიზანია- პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება. უფრო კონკრეტულად კი სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 29 მარტის. 01-03/26 ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად სკოლამ 2024 წლისთვის დაგეგმა პროფესიული საგანთმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს №MES 8 24 0001016432 გადაწყვეტილებით სკოლამ მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, მათ შორის ,,ვებტექნოლოგიების“ პროგრამის. მიმდინარე წელს ,,ვებტექნოლოგიების“ სტანდარტის გაუქმებიდან გამომდინარე სკოლა იმატებს პროგრამას, რომელიც შემუშავებულია განახლებული სტანდარტის ,,Front – end დეველოპმენტი“ საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოდგინა ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front – end დეველოპმენტი“ მიზანშეწონილობის დასაბუთება“ და დასაბუთებულია რომ: დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება. 2024 წელს სკოლის პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**
პროგრამა შემუშავებულია ორგვარი მიდგომით და კანონმდებლობის გათვალისწინებით, განსხვავებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება.
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურა განსაზღვრულია სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 05 აპრილის №.01-03/44 ბრძანებით (ცვლილება - № 00002391; 17.02.25)- ,,შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი”. აღნიშნული წესის მე-6 მუხლის მიხედვით, სკოლის გენერალური დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს (ეტაპების არსებობის შემთხვევაში), თითოეულ იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №№ 00002343 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისთვის გათვალისწინებულია: პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი, სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართის შესაძლებლობა; პროგრამის განხორციელების მიდგომა. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი, სხვადასხვა ცვლებში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის მოთხოვნადობა, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე, აპლიკანტთა მხრივ.

მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია, რომ პროგრამას ახორციელებს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება და ხდება ერთი და იმავე ფართების საქმიანობის ორი მიმართულებით (ზოგადი და პროფესიული) გამოყენება. მაგ. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გამოყენება ინტეგრირებული ზოგადი მოდულისთვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები".ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 40 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში მაქსიმუმ 20 სტუდენტი; სულ 2 ჯგუფი). მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომისთვისაც განსაზღვრულია - 40 პროფესიული სტუდენტის.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ,,Fron – end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსი. ასევე, რესურსი შერჩეულ იქნა განმახორციელებელთა რეკომენდაციით, მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

არ არის გათვალისწინებული;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ" შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის 2024 წლის 25 მარტის №01-03/10 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პროცედურის პირველი თავის მე-16 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

შესაბამისად, სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 13 თებერვლის № 00002188 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front – end დეველოპმენტი".

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,, Front – end დეველოპმენტი“ ფარგლებში და პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. კურსდამთავრებულს ენიჭება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front – end დეველოპმენტში.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“. აღნიშნული წესის მიხედვით, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის 2024 წლის 25დეკემბრის №01-03/105 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სკოლის მიერ დადგენილი წესი მიხედვით შეიმუშავა პროგრამა. პროგრამა შემუშავებულია Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.პროგრამა შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებით და გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების მოთხოვნები. ასევე, გათვალისწინებულია 2024 წელს ბრძანებაში შესული ცვლილებები და პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები (30 კრედიტის მოცულობით).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front – end დეველოპმენტი“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი ;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი " მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას Fron-End დეველოპმენტი" ახორციელებს ქ. ბათუმი, ვ. შამილაძის ქ. №30 სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A/B/C გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;
ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 20 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 20 სამუშაო მაგიდით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**; .პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას: კერძოდ Front- end დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ჰყავს 20 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 3 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიღებულ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. აქტიურად უწევს კონსულტაციებს მოდულების განმახორციელებელ პირებს დარგის სიახლეებთან მიმართებით, ზრუნავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 25 მარტის №.01-02/12 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში მითითებული რესურსი. ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში გათვალისწინებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ შემუშავებული გზამკვლევები. ყველა აღნიშნული რესურსი არის შენახული როგორც სკოლის ბიბლიოთეკის კომპიუტერშ ასევე ელექტრონულ მატარებლებზე.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

გენერალური დირექტორის 2024 წლის 29 მარტის №01-03/28 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. სკოლის გარემო სრულიად ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

წარმოდგენილია ,,Front – end დეველოპმენტის“ პროგრამის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტები. ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა, რადგან IT მიმართულების პროგრამები ყველა წელია არის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში. ბიუჯეტი დაანგარიშებული ერთი ჯგუფისთვის. როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია - 15-15 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“
- ,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების,პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front- end დეველოპმენტი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- შევსებული ფორმა - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა შესახებ;
- ინტერვიუირება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;** სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის სამსახური. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძ. №01-03/31; 25.03.2024) ეფუძნება ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის "PDCA" სქემას. პოლიტიკის დოკუმენტით გაანალიზებულია სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, შეფასება, განვითარება გაანალიზებულია, როგორც ძირითადი პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება, მათ შორის, სკოლის მიერ შემუშავებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცედურების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.ხარისხის** უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების შეფასების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შეფასების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი.სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 25 მარტის №01-03/10 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების,პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,Front – end დეველოპმენტი“ დანართების სახით ახლავს ორი სასწავლო გეგმა და პროცესი დაიგეგმება სასწავლო გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია კალენდარული გეგმისა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემთხვევაში მატრიცის შემუშავების აუცილებლობა. სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის შემუშავდება სასწავლო ცხრილები.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;** პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ცვლებში სწავლების, შეჭრილი გრაფიკით სწავლების შესაძლებლობა, მათ შორის, სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ სტუდენტთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით (მუხლი 15), ხოლო ფორს-მაჟორული გარემოებების, სკოლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა,

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;** პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად. რაც რეალურად დაინერგება პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;** პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას შემდეგი შემთხვევებისთვის:

   ა. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

   ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის;

დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ასევე დაშვებულია, რომ ისგ-ს საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს. შესაძლებელია ისგ-ს შემუშავება ჯგუფისთვისაც.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მასწავლებლის მოვალეობაა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სწავლების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში წინადადებების წარდგენა პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის დამატებითი მხარდაჭერის გაწევის აუცილებლობის თაობაზე.

ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში, სკოლას ეყოლება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი. შემუშავებულია მათი სამუშაო აღწერილობები.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**
   პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.
6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front- end დეველოპმენტი" პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესის შემუშავების საჭიროება არ დგას. თუმცა ინტეგრირებული ზოგადი მოდული ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ტარდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში სადაც აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front- end დეველოპმენტი".
- *დათვალიერებით;*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;** შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროგრამების განხორციელების მიდგომები. დამოუკიდებელი ბრძანებების სახითაა დამტკიცებული: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; შუალედური შეფასების წესი
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;** დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. სადაც განსაზღვრულია: ვერიფიკაციის მიზანი, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები, ვერიფიკაციის მიმართულებები და მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც ასევე მოიცავს დასკვნის შედგენას და რეკომენდაციების გაცემას.დოკუმენტი იმგვარადაა შემუშავებული, რომ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს პროცესში ჩართულ პირებთან მიმართებით.
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**; დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესსა და პროცედურებს (მუხლი 6). აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელი.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ყველა რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა. განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასებას.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით). ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს მხარდაჭერის სპეციალისტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი;
- ინტერვიუირება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front- end დეველოპმენტი“.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10.04.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: